შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტისადმი

ბრძანება № 01-01/55

თბილისი **“ 29 “ ივლისი 2022 წ.**

2022-2023 სასწ/წ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოსადგენი

დოკუმენტების ნუსხისა და ვადების განსაზღვრის შესახებ:

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულების და სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი შიდა ნორმატიული აქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე საბუთების მიღების ვადები განისაზღვროს:

- სამართლის ფაკულტეტზე - მ/წ 29 აგვისტოდან 9 სექტემბრის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა) 10:00 სთ - 16:00 სთ (რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია, ასევე ონლაინ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე მითითებულ ონლაინ სარეგისტრაციო ბმულზე)

- ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე - მ/წ 1 სექტემბრიდან 9 სექტემბრის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა) 10:00 სთ - 16:00 სთ (რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია, ასევე ონლაინ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე მითითებულ ონლაინ სარეგისტრაციო ბმულზე)

2. განისაზღვროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

ა. განცხადება გთუნი-ს რექტორის სახელზე;

ბ. ფერადი ფოტოსურათი (3x4) ამობეჭდილი (4 ცალი) და ელექტრონული ვერსია CD-ზე;

გ. ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის დედანი ან მათი ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

დ. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი დედანთან ერთად;

ე. უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ. ვაჟებმა წვევამდელის სამხედრო აღრიცხვის მოწმობა ან სამხედრო ბილეთი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მისი ასლი;

ზ. გამოცდების ეროვნული ცენტრის საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათი;

თ. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ი. დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში საბუთები არ მიიღება. თუ საბუთები წესრიგშია, დედნები უბრუნდება წარმომდგენს, ხოლო მაგისტრანტობის კანდიდატის საბუთები ბარდება მიმღები კომისიის მდივანს.

3. ბრძანების უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას;

4. დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

გიორგი მათიაშვილი